კომუნისტი

ᲛᲔᲡᲣᲗᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ⁊ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური ორგანო

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ: ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ: ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ: 75 კ., დანარჩენებისათვის: ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 1 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — 1 Მ. 20 კ., ხელისწერაში მიიღებენ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ“ და „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ“. ᲒᲐᲜᲪᲮᲘᲡᲓᲔᲑᲘᲗ: ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲬᲠᲔᲚᲘ: ᲡᲢᲠᲝᲩᲘᲜᲘ — 20 კ., ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲪᲐᲚᲐᲨᲘ — 25 კ. ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲘ — 5 მᲐᲜ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ 30 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲘᲡᲓᲔᲑᲐ 3 ს.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 5—48, ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 18—80.

ᲓᲦᲔᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ 5 ᲒᲕᲔᲠᲓᲡ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲨᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲘᲐᲣᲚᲘ ᲫᲐᲠᲗᲕᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲠᲘᲡᲮᲕᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲐ.

— ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

— ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲚᲐᲬᲧᲓᲐ.

— ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲒᲚᲔᲑᲐ ᲐᲚᲘᲐᲠᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.

— ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲝᲑᲐᲛ ᲐᲙᲠᲙᲐᲚᲐ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲠᲘᲚᲝᲒᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 31 მარტი 1925 წ

ფასი 5 კ. № 72 (1227)

ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲧᲝᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1920 წელში დაბადებულ მოქალაქეების ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის წინ, იმ მიზნით, რომ მათ თავის დროზე გამოერკვიათ ოჯახი შეღავათები ოჯახური მდგომარეობის გამო, საქართველოს სამხედრო კომისარიატმა აცნობა მოსახლეობას დაწესებული შეღავათები და მათი მიღების საშუალებები. ამ მხრივ გამოყენებული იყო ყველა ხელმისაწვდომი საშუალებები: ყველა ფასიანი ᲞᲔᲜᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ იყო 6 ათასი ცალი განცხადება ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ და რუსულ ენებზე, ადგილობრივი მოსახლეობა გამოწვეული იქნა სათემო აღმასკომებში და რაიონულ აღმასკომებში, სადაც მათ უსწორდენ არსებული შეღავათებს და მათი მიღების წესებს, ამავე საკითხის შესახებ ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებული იყო სათანადო საგაზეთაო კამპანია, ამას გარდა ეს წესები განმარტებული იყო პრესაში.

სამუშაო სამხედრო კომისარიატების მიერ რაიონულ აღმასკომებთან დაარსებული იყო განსაკუთრებული კომისიები, რომლებისთვისაც უნდა მიმართათ მოქალაქეებს თავისი შეღავათების გამოსარკვევად; ამისათვის საჭირო იყო მოწმობების ანდა სასოფლო კრებების დადგენილების წარდგენა. ამას გარდა, ის მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მოასწრეს თავისი შეღავათების გამორკვევა, მაგრამ რომლებმაც სათანადო მოწმობები წარადგინეს მაი ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს სათანადო მიმღებ კომისიაში, მაინც იღებდენ შეღავათს ოჯახური მდგომარეობის გამო და თავისუფლდებოდენ სამხედრო სწავლისა და სამხედრო სამსახურიდან.

1902 წელში დაბადებულ მოქალაქეებს ორ თვეზე მეტი ვადა ჰქონდათ იმისათვის, რომ გამოერკვიათ თავისი უფლებები შეღავათის მიღებაზე, განსაკუთრებულ კომისიებში, რომლებიც მოწყობილი იყო რაიონულ აღმასკომებთან 1902 წელში დაბადებულ მოქალაქეებისათვის შეღავათის მინიჭების მიზნით, შეტანილი იყო 5.616 კაცის განცხადება იმის შესახებ, რომ მათ სურთ ისარგებლონ დაწესებული შეღავათით. ამ რიცხვიდან პირველი ხარისხის შეღავათი მიენიჭა 1.695 კაცს, მეორე ხარისხის—877 კაცს, მესამე ხარისხის—566 და მეოთხე ხარისხის—411. სულ კი—3549 კაცს. მიუხედავად ასეთი დიდი დროისა, რომელიც მიეცა მოქალაქეებს თავისი უფლებების გამოსარკვევად, ზოგიერთმა მათგანმა არ ისარგებლა ამ დროით და შუამდგომლობა შეღავათის მინიჭების შესახებ აღძრა მაშინ, როდესაც ისინი უკვე მიღებული იყვენ სამხედრო სამსახურში და ჩაირიცხენ ჯარის ნაწილებში; ამასთანავე ისინი ჯარის ნაწილებში ანდა საქართველოს სამხედრო კომისარიატთან არსებულ უმაღლეს მიმღებ კომისიაში ᲒᲐᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐᲜ დოკუმენტებს, რომლებიც გაეცემული იყო ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდეგ. უმრავლესობამ ასეთი დოკუმენტები აიღო იმ ხნის განმავლობაში, როდესაც მათ შეებულება ჰქონდათ მიცემული ჯარის ნაწილებში გაგზავნის წინ ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად. იყვენ ისეთნიც, რომლებმაც ასეთი მოწმობები უკვე ჯარის ნაწილებში მიიღეს შობლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ „ᲒᲐᲜ-ᲜᲐᲓᲘ“ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ჯარში გასაწვევ მოქალაქეების ყველა განცხადებები შეღავათის მინიჭების შესახებ განხილული უნდა იქნეს და მათ შესახებ გადაწყვეტილებები გამოტანილი უნდა იქნეს გაწვევის დაწყებამდი, ეს განცხადებები მაინც განხილული იყო, მაგრამ შეღავათის მინიჭება ხდებოდა განსაკუთრებულ შემთხვევებში, ე. ი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც სამაზრო მიმღებ კომისიების მიერ დაშვებული იყო აშკარა შეცდომები.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა იქმნებოდა იმის გამო, რომ მოსახლეობა საკმოთ გაცნობილი არ იყო ოჯახური მდ ომარეობის გამო დაწესებულ შეღავათების მიღების წესებთან, რამაც არეა-დარევა შეიტანა როგორც სამხედრო ნაწილებში, ისე ადგილებზეც. სამხედრო კომისარიატში, და აგრეთვე ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, სადაც ყოველდღე შედიოდა შშობლების ანდა წითელარმიელების საჩივრები მათი შვილების ანდა თვითონ მათი უკანონო მიღების შესახებ სამხედრო სამსახურში.

მე საუბარი მჭონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მრავალ პირებთან, რომლებიც საყვედურს აცხადებდენ სამაზრო მიმღები კომისიების მიერ სამხედრო სამსახურში მათი შეყვანის უფლება არ ენიჭებათ იმ მოქალაქეებს, რომელთა მიმართ დამტკიცებული იქნება, რომ ისინი სრულიად შეიტანენ თავი დაეხსნიათ სამხედრო სამსახურისათვის თავის ჯანმრთელობისათვის რაიმე ზიანის მიყენების გზით ან და სხვაგვარი მოტყუვლებით.

6. ოჯახური მდგომარეობის გამო დაწესებული შეღავათი ᲐᲠ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ იმ მოქალაქეებს, რომელთა მიმართ „ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ“ ᲒᲐᲠᲬᲛᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ იქნება, რომ მათი ჯარში გაწვევა ოჯახის დარჩენილ წევრის უნარს მოკლებულ წევრებს არ წაართმევს არსებობის წყაროს.

7. სიტყვა „ოჯახის“ ქვეშ იგულისხმება ნათესაური შრომის გაერთიანება სხვადასხვა ხარისხის ნათესავობის პირებისა, რომლებიც ერთად სცხოვრობენ და ერთი მეურნეობას უძღვებიან ანდა საერთო საშუალებებით სცხოვრობენ.

შენიშვნა: 1. ოჯახის წევრებათ ითვლებიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც ოჯახის შემადგენლობაში შევიდენ ქორწინების და შეილად აყვანის გამო.

შენიშვნა: 2. გლეხთა ოჯახის წევრებათ ითვლებიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც დროებით გავიდენ ოჯახიდან სამუშაოს საძებრათ, მაგრამ რომლებიც კანონის თანახმად არ ითვლებიან კომლის შემადგენლობიდან გასულათ.

შენიშვნა: 3. ოჯახში დარჩენილ წევრების მიერ შეღავათის მიღების უფლების გამორკვევის დროს ოჯახის შემადგენლობაში არ ენდა ჩაითვალონ ის პირები, რომლებიც გაწვეული არიან ნამდველ სამხედრო სამსახურში ანდა კურსანტებათ ითვლებიან სამხედრო სასწავლებლებში.

8. მოქალაქის დამოკიდებულება ოჯახურ შრომის ვაერთიანებისადმი გამორკვეული უნდა იქნეს იმისდამიხედვით, თუ როგორ მონაწილეობას იღებს ეგი ამ თუ იმ მეურნეობაში, რაც უნდა დამტკიცდეს დოკუმენტების საშუალებით ანდა მოწმეების დაკითხვით, რომლებმაც უნდა დადასტურონ, რომ ეს მოქალაქე ნამდვილათ მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ მეურნეობაში.

9. ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებათ ითვლებიან:

ა) მამრობითი სქესის ყველა პირები 16 წლამდი და 55 წლის ზევით და დედრობითი სქესის პირები 16 წლამდი და 50 წლის ზევით.

ბ) დედრობითი სქესის პირები, რომლთაც ყავთ ბავშვები 8 წლამდი,—იმ პირობით, თუ ოჯახში არ არის ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია ბავშვებისათვის თვალყურის ᲓᲐᲕᲘᲜᲔᲑᲐ.

გ) შემდეგი ხარისხის ინვალიდები:

1. ისეთები, რომელთაც არ შეუძლიათ მუშაობა და ამასთანავე საჭიროებენ სხვა გარეშე პირის დახმარებას თავისი ჩვეულებრივი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ;

2. ისეთები, რომელთაც არ შეუძლიათ არავითარი შრომა, მაგრამ რომელთაც არ სჭირდებათ მუდმივი თვალყურის დევნება.

10. იმ მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ ოჯახური მდგომარეობის გამო დაწესებული შეღავათის მიღება, განცხადება უნდა შეიტანონ ამის შესახებ სამხედრო კომისარიატებთან არსებულ ჯარში გაწვევე კომისიებში ანდა სოფლის საბჭოებში; განცხადებაში სისწორით აღინიშნული უნდა იქნეს ოჯახის წევრთა რაოდენობა, მათი წლოვანება და ის, შეუძლიათ თუ არა მათ მუშაობა. სოფლის საბჭოები ვალდებული არიან იქ შესული სიები შემოწმების შემდეგ გადგზავნონ გაწვევ კომისიებში. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში ოჯახის შემადგენლობაში მოხდება რაიმე ცვლილება, მოქალაქეები ვალდებულნი არიან ამის შესახებ, აცნობონ გაწვევ კომისიებს იმავე წესით; არმოწოდება ცნობებისა ოჯახის პირადი შემადგენლობის შეცვლის შესახებ. ანდა ყალბი ცნობების მიწოდება ისჯება სისხლის სამართლის წესით.

11. თვითეული გასაწვევ მოქალაქის უფლებას ოჯახური მდგომარეობის გამო დაწესებულ შეღავათის მიღებაზე აწესებს ადგილობრივი გაწვევი კომისია იმ დოკუმენტების თანახმად, რომლებშიაც აღნიშნული უნდა იყოს გასაწვევ მოქალაქე ოჯახის შემადგენლობა.

დოკუმენტებათ ითვლება: სოფლის მოსახლეობის მიმართ სათემო აღმასრულებელ კომიტეტების ანდა სოფლის საბჭოების და სხვა სათანადო ორგანიზაციების მოწმობები; ქალაქის მოსახლეობის მიმართ—მიღიციის ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ გაცემული მოწმობები. იმ შემთხვევაში, როდესაც გამწვევ კომისიებს ეჭვი ეპარება ამ მოწმობების სისწორეში, მათ უფლება აქვთ შეამოწმონ ისინი ყოველგვარი საშუალებით.

12. გამწვევი კომისიების დადგენილებები შეღავათების შესახებ მიიღება გადასინჯული იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების ანდა ხელისუფლების სხვა სათანადო ორგანოების მიერ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირების მიერ აღძრული იქნება საჩივარი; ასეთი გადასინჯვა შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე გამწვევი კომისიების მუშაობისათვის თვალყურის დ ვების მიზნით. საჩივარი უ ᲬᲧᲕᲚᲐᲗ შეტანილი უნდა იქნეს გამწვევ კომ ᲘᲡᲐᲠᲘᲨᲘ. აღნიშნული განცხადებები განხილული უნდა იქნეს და მათ შესახებ გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილებები ვაწვევის დაწყებამდი. ეს გადაწყვეტილებები საბოლოოა.

13. იმ მოქალაქეებს, რომლებიც დააგვიანებენ შესაკრებ პუნქტზე გამოცხადებას და ამისათვის არ ექნებათ საპატიო მიზეზები, ეკარგებათ შეღავათის მიღების უფლება და იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოსადეგი იქნებიან სამხედრო სამსუბარისათვის მათ ჩარიცხავენ ჯარში მიუხედავათ იმ ნომრისა, რომელსაც ამოიღებენ ᲥᲔᲚᲜᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ დროს. ის მოქალაქეები კი, რომლებიც თუმცა დააგვიანებენ გამოცხადებას, მაგ-ამ ამისათვის ექნებათ საპატიო მიზეზები, შეღავთის მიღების უფლებას არ კარგავენ და იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოსადეგი იქნებიან სამხედრო სამსახურისათვის მათ ჩარიცხავენ ჯარში ანდა ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან შეეცვლებათ სამხედრო სამ ᲥᲛᲘᲡ ჯარის გარეშე შესწავლით, იმ ნომრის მიხედვით, რომელსაც ამოიღებენ ᲥᲔᲚᲜᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ დროს.

შ. გოფოძე.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

გერმანიის პრეზიდენტის არჩევნები გერმანიის ბურჟუაზიის მიერ გამოყენებული იქნება ამისათვის, რომ მონარქიის კანონიერ მემკვიდრეს ჩაბაროს გერმანიის პრეზიდენტის მოელი ძალაუფლება. ჰალლეს მუშაობის დახვრეტა, რომელიც მოაწყო სოციალ-დემოკრატმა პოლიციმ ᲙᲘᲡᲢᲔᲠᲜᲐ, საარჩევნო ბრძოლის დასაწყისად გახდა. ოპერესიები ᲰᲐ ლეში და კომუნისტური გაზეთების აკრძალვა გაცხოველებულ საარჩევნო ბრძოლის ფონის ნათლად აჩვენებენ გერმანიის ბურჟუაზიის „დემოკრატიული თავისუფლების“ ხასიათს. რეკონსტრუქციათა კამპანია, მიუხედავად ზოგიერთი სუსტი ადგილებისა, დამტკიცებულია იმის, რომ რკინის გზის მუშებს შორის მოელენარებაა, ეს არის წინასწარი შეტაკება მოსალოდნელი ბრძოლის წინ, რომელიც უნდა დაიწყოს უკეთესი შრომის ხელფასის და რეა საათის სამუშაო დღის მოპოვებისათვის. გერმანიის კომპარტიამ მოეწოდა გერმანიის პროლეტარიატს ხმა მისცეს მუშათა წითელ კანდიდატს, ერთადერთ მუშურ კანდიდატს—**ᲢᲔᲚᲛᲐᲜᲡ**; ეს იქნება მრეწველებისა და ლიუტერის მთავრობის გამოწვევა ბრძოლაში, ეს იქნება ბრძოლის მტკიცე ნებისყოფის დემონსტრაცია. იმ მომენტში, როდესაც ჩვენ ამ სტრიქონებს ვსწერთ, გერმანიის კომპარტია გერმანიის ყველა ქალაქებში მუშათა მასებს **გამოიყვანს ქუჩაზე** და დარაზმავს ლიუტერის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. გერმანიის კომპარტია სცდილობს გამოიყენოს საარჩევნო კამპანია იმ მიზნით, რომ მოამზადოს მუშათა მასების ბრძოლა გაშლილი ფრონტით. ლიუტერის მთავრობა, მიუხედავათ ყველა თავისი „მოხერხებული ტრიუკებისა“ (როგორც, მაგალითად, ლიუტერის გამგზავრება დორტმუნდში დაღუპულ მადაროს მუშების საფლავზე), თანდათან ᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲔᲑᲡ მუშების თვალში თავის ნამდვილ სახეს. თანდათან ნათელი ხდება, **რომ „გაჯანსაღება“** დოუესის გეგმის მიხედვით, ბოლოს და ბოლოს, გამოიხატება მუშათა კლასის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევაში. გერმანიის კომპარტია, **როგორც პროლეტარიატის ერთად-ერთი პარტია**, არა მარტო წინდაწინ გრძნობდა ამას, მან არა მარტო გამოაჯარავა თავისი მტრული დამოკიდებულება დოუესის გეგმისადმი, არამედ მიიღო ყველა წინასწარი ზომები, რომ ჩაება გერმანიის პროლეტარიატი პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში საერთაშორისო და ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ფრანკფურტის ყრილობის და კომინტერნის მეხუთე საერთაშორისო კონგრესის შემდეგ პარტია შეგნებულათ მიისწრაფვის იქითკენ, რომ თვითკონტროლის და თვითკრიტიკის საშუალებით გადაიქცეს ნამდვილ ბოლშევიკურ პარტიათ. ჩვენი გადაწყვეტილებები მეტათ კარგია, მაგრამ პარტიის წევრების ფართო მასებმა მშვენივრათ იციან, რომ **ეხლა** საქმე შეეხება იმას, რომ ეს გადაწყვეტილებები **გადაარეგულირებული იქნეს ცხოვრებაში.** პროფკავშირების და საფაბრიკო საკარსნო კომიტეტების არჩევნებში გერმანიის კომპარტიამ დაიპყრო ახალი პოზიციები (საქსონიაში, ტიურინგიაში, რეინის ოლქში, ბერლინში, ჰალლეში და ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲠᲒᲨᲘ), მიუხედავათ იმ **დიდი ზიანისა**, რომელიც მოჰყვა პარტიის ძველ პოზიციას პროფკავშირების საკითხში. პროფკავშირების ფრაქციების და საწარმოო უჯრედების მოწყობა წარმატებით მიდის. გერმანიის ბურჟუაზია თვალყურს ადევნებს კომუნისტური პარტიის განვითარებას. შეჯარებით „წყნარი“ პერიოდის შემდეგ (როდესაც 7.000 მუშა დაპატიმრებულა!!) ის ხელახლა უბრუნდება სასტიკ ტერორისტულ ზომებს. თვითეულ საწარმოო დაწესებულებაში არიან ბურჟუაზიის ჯაშუშები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ თვითეულ მუშას, რომელმაც დანაშაული ჩადინა თუ გინდ იმით, რომ გამოიწერა კომუნისტური გაზეთები. ასეთ მუშებს უმოწყალოთ ერეკებიან ქარხნებიდან და ისინი შეაქცეთ შავ სიაში. გერმანიის „ᲩᲔᲯᲘᲡ“ პროცესი დასაწყისი შეიქნა იუსტიციის ბოროტმოქმედებათა ახალი ტალღისა. თვითონ იუსტიციის ამ კამპანიას მიემატა მთელი რიგი ახალი პროცესები: ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის პროცესი, ახალი პროცესი ᲰᲐᲛᲑᲣᲠ�გᲨᲘ, სადაც ასამართლებენ 200 მუშას, „ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ“ მეკუნძურეობაში, გერმანიის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲔᲜ კომპარტიის მუშაკებს. გაკეთ�eულებულ საარჩევნო ბრძოლის დროს ბურჟუაზიამ მიმართა გერმანიის კომპარტიის მუშაკების დაპატიმრებას. ამ ახალი შემოტეევის საპასუხოთ პარტია გააძლიერებს თავის მუშაობას. სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბარმატის საქმის და სოციალ-დემოკრატიული ბელადების გამყიდველობის გამომჟღავნების გამო, ძმმე მოენტს განიცდის. სოციალისტურმა პარტიამ მხოლოდ გერმანიის კომპარტიის ზეგავლენით წამოაყენა საკუთარი კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე. მაგრამ აქ ოპოზიციონურმა უფესტმაკი, რომელიც არავითარ გავლენას არ მოახდენს არჩევნების შედეგებზე იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიულ კანდიდატს ამწოლიუტურათ არავითარი შანსები არ აქვს გამარჯვების მოსაპოვებლად, საშინელი აღელვება გამოიწვია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაღალ წრეებში, სოციალისტური პარტიის რიგებში არეა-დარეული აქვს ადგილი. მემარჯვენე სოციალ-დემ-კრატიული პროკონციალური გაზეთები კიცხავენ ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ მან უღალატა „რესპუბლიკანურ იდეას“. „ფორვერტს“-ი ვერ ბედავს პასუხი გასცეს ამ საყვედურზე. ორგანიზაცია „საიმპერიო დროშა“-ს თავჯდომარე, სოციალ-დემოკრატი ჰესრინგი გაგზავნილი იყო ბერლინში იმ მიზნით, რომ ამ ორგანიზაციის ასეულ ათას წევრების სახელით აეძულებია სოციალ-დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტი უარი ეთქვა ბრაუნის კანდიდატურაზე. მემარცხენე სოციალ - დემოკრატები სცდილობენ გამოიყენონ კრიზისი, რომ „გასწმინდონ“ პარტია და დაიკავონ გამყიდველი და სახელგატეხილი ბელადების ადგილი. გერმანიის კომპარტია გაიფორებულ ბრძოლას აწარმოებს მეშარცხენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომ საშუალება არ მისცეს მათ ხელახლა ითამაშონ ის მოღალატური როლი, რომელიც ნათლათ გამოირკვა 1923 წლის ოქტომბერში.

გერმანიის პროლეტარიატს მოელის მძიმე ბრძოლის და სასტიკი დევნის პერიოდი. ამ ბრძოლაში ის გამოსაჭედეს იმ პარტიას, რომელიც აუცილებელია მისთვის, რომ გამარჯოს.

რუტ ფიშერ.

ᲣᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ „ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ“

რომ საბჭოთა პრესაში მუშა და გლეხ-კორესპონდენტს შეუდგ საპატიო და ამასთან საპასუხისმგებლო როლი აქვს მიკუთვნებული, ამაზე „ᲒᲠᲫᲔᲚი სიტყვის წარმოთქმა“ არ დაგვეი“ დება. მუშა და გლეხ-კორესპონდენტები არიან მუშურ გლეხურ საზოგადოებრივობის ᲞᲘᲜᲐᲛᲘᲠᲘ წარმომადგენელნი. ისინი მოწოდებული არიან გადმოსცენ გაზეთის ფურცლებზე მუშათა კლასის და გლეხობის პირვარაში, თუ დაღხინება. მათ ეკუთვნით შეუბრალებლად ამხილონ, მხის სინათლეზე გამოიტანონ ყოველგვარი ნაკლულევანება საბჭოთა აღმშენებლობაში, ყოველგვარი უკანონობა, ბიროკრატ-მოქმედება თუ უმოქმედობა ცალკე მუშაკების და ᲛᲗᲘᲚᲘ ორგანოების. მუშა და გლეხ-კორესპონდენტი თვალი და ყურია გაზეთის, პარტიის, ხელისუფლების. მისი დაკოკრილი ხელით დაწერილი შენიშვნა ხელს უწყობს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებას.

მაგრამ რა პირობებში შეუძლია კორესპონდენტს თავისი ასეთი რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება?

— ერთ-ერთი ძირითადი პირობა ᲘᲐᲨᲘ მდგომარეობს, რომ კორესპონდენტი უნდა იყოს საესებით დამოუკიდებელი და თავისუფალი გაზეთისათვის ამა თუ იმ მასალის მიღებაში. თუ ამ მხრივ იგი შეზღუდული იქნება, მაშინ ძალიან მცირე შესაძლობა რჩება, რომ კორესპონდენტმა ამხილოს ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მხარეები.

თუ კორესპონდენტი არჩეულია, მით უმეტეს—დანიშნულია რომელიმე ორგანიზაციის თუ დაწესებულების მიერ, ამით უკვე შეკეეცილია მისი წერის თავისუფლება; იგი რამოდენიმედ ვარდება ამმრჩეველ თუ დამნიშნელ ორგანოს ზეგავლენაში.

ᲩᲘᲯᲔ გავრცელებული იო კორესპონდენტი, ორმელიც თავისი დანიშვნის ფაქტით დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ორგანოსაგან, ᲮᲨᲘრად გვაწვდიდა მარტო „ქების ფურცელს“ თავის რაონში მომქმედ აᲧესებულებების თ ცალკე მუშაკების მოღვაწეობის შეაᲐᲑ, ᲮᲚᲝᲚ ᲫᲔᲛᲩᲜᲔᲣᲚ ᲑᲐᲚᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲘᲗᲠᲐᲓᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲘᲡᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

28 მარტის სხდომა

მოსკოვი. 30 მარტი. სხდომა იხსნება **ზინოვიევ**ის თავმჯდომარეობით. შერლენბახის მაღაროებში მომხდარ კატასტროფის შესახებ რიგს გარეშე მოხსენებას აკეთებს **კარში** (საფრანგეთი). პლენუმმა დაადგინა სამძიმარის დეპეშა გაუგზავნოს შერლენბახის სამთო-მადნო მეშვების კავშირს.

ამხ. ბრუუკოს მოხსენება

შემდეგ ჩეხო-სლოვაკიის მდგომარეობის და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციის შესახებ თანამოხსენებას აკეთებს ბრუუკო. მომხსენებელმა სთქვა, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციას წინააღმდეგობას უწევენ ცალკე პასუხისმგებელი ამხანაგები (მაგალითად, ბუბნიკი), რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ კომინტერნის მეხუთე კონგრესის და პარტიის ყრილობის დადგენილებებს. ბოლშევიზაციის წარმატებით ჩატარების ძირითადი პირობაა ოპორტიუნისტების საბოლოო ლიკვიდაცია. **პარტიას ამ უამად აქვს 800 ხაწარმოო უჯრედი.** პარტიაში გაძლიერდა რევოლიუციონური სულისკვეთება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პრაგაში და კლანდოში გამართულ სიძვირის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში.

კომუნისტური ფრაქციების მუშაობა პროფკავშირებში მხოლოდ ეხლა იწყება. გლეხთა მოძრაობა ჩეხებით დასახლებულ ოლქებში უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანელებით დასახლებულ ოლქებში. მეორე ყრილობის შემდეგ პარტიის უმცირესობას უნდოდა უნდობლობის გამოცხადება ცენტრალური კომიტეტისადმი. შემერალიც კი სცდილობდა საქმეთა ვითარება ისე დაეხატა, თითქოს ცეკა იცავდა პროლეტარულ მოქმედებას. პარტიამ ჯერ კიდევ თავი ვერ დააღწია ოპორტიუნისტულ წარსულს, რომლის წარმომადგენელია შერეული. პარტიის მომავალი მუშაობის ხაზი გათვალისწინებულია კომინტერნის მეხუთე კონგრესის ლადგენილებებში.

ახალგაზრდათა მოძრაობა

ამხ. ვუიოვიჩის მოხსენება

შემდეგ თანამმხსენებლად გამოყოფილ ახალგაზრდათა კომინტერნის წარმომადგენელი —ვუიოვიჩი. მან ხაზი გაუსვა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ლიკვიდაციის აუცილებლობას. პარტიებმა ნეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდათა მოძრაობას. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანა იყო მასიური კავშირების შექმნა. ნამდვილი მასიური ორგანიზაცია არსებობს მხოლოდ საბჭოთა კავშირში ახალგაზრდათა მოძრაობის განმტკიცების სფეროში ნნიშვნელოვან შედეგი ი ნა მიღწეული საფრანგეთში, იტალიაში და ამერიკაში. ნაულებ დამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღწეული იმ ქვეყნებში, სადაც კომპარ ტიების შ ენით ბრძოლა სწარმოეი ა ოპორ. ტიუნიზმის ნინააღმ ეგ. თ] ბერალი ახალგაზრდათა კომუნისტუო ინტერ-

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ანგარიში

ლონდონი. 29 მარტი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წლიურ ანგარიშში ნათქვამია, რომ პარტია არაჩვეულებრივად იზრდება. მიმდინარე წლის განმავლობაში პარტიის განყოფილებათა და წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების 5.000 წარმომადგენლიდან ნახევარზე მეტი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრია. 151 მუშიდან, რომლებიც პარლამენტში შედიან, 106—მუშა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრია.

იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ამსტერდამის ინტერნაციონალს, ანგარიში ამართლებს გაძლიერებულ ყურადღებას კომუნისტებთან ბრძოლისადმი იმით, რომ „ინგლისის სოციალისტებს არ აქვთ შეგნებული კომუნისტურ აგიტაციის უშუალო გავლენა ევროპის სოციალისტურ მოძრაობაზე“.

შემდეგ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თვითეულმა სოციალისტურმა პარტიამ უნდა გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა, რათა ხელი შეუშალოს **რუსეთის დიქტატურას ევროპის ხალხთა ოჯახში**. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავდით, რომ ჩვენი საერთო ძალღონით მოისპობა სამშუხარო უთანხმობა ევროპის სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის“.

გერაანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესი

ლეიპციგი. 29 მარტი. სასამართლომ უარყო დამცველების ყველა წინადადებები მოწმეების გამოწვევის, ფაშისტური პროცესების დოკუმენტების გამოქვეყნების და დამცველების მიერ დასახელებულ მოწმეების დაკითხვის შესახებ. სამგიერად სასამართლოს თავმჯდომარემ ნიდერმა დაწერილებით გაითქვეყნა ის დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ „კომპარტიის მზადებას სახელმწიფო ღალატისათვის“; მან წაიკითხა აგრეთვე ამონაწერი „კომუნისტური მანიფესტიდან“ და ლენინის წერილები პარტიზანული ბრძოლის შესახებ.

წარსულ სხდომაზე პროკურორმა ნეიმანმა განაცხადა, რომ გასინჯული იქნება რუსული ქვითარები, რომლებიც ბრალდებულ გალუპს უნახესო. უკანასკნელმა განაცხადა, რომ ამ ქვითარების შესახებ მან არაფერი არ იცის და ისინი მას ვიღაცამ მოტყუებითი შეაჩჩა ხელში.

29 მარტის სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ ექსპერტების დასვენით, ხელის მოწერა ქვითარებზე, როგორც სჩანს, ეკუთვნის არა სკობლევსკის, არამედ გარივსკის, გეზმუტს და ვოლფს. ამრიგად, მთავარი საბუთი, რომელსაც ეშყარებოდა ბრალმდებელი, მოხსნილია. დამცველთა შემადგენლობა აღნიშნავს ამ განცხადების მნიშვნელობას, რადგან სწორედ ბრალდებელთა მოწმეა— პროვოკატორი ფელიქს ნეიმანი ამტკიცებდა, რომ ხელის მოწერა ეკუთვნოდა სკობლევსკის.

შემდეგ პროკურორმა წაიკითხა შეიტანა იმის შესახებ, რომ სასამართლოს დარბაზიდან გაყვანილი ყოფილიყო დამსწრე საზოგადოება და მასთან ერთად პრესის წარმომადგენლებიც. დარბაზში დარჩენა შეეძლოთ მხოლოდ ვიურიმენერგის მთავრობის წარმომადგენლებს, გამომძიებელ ფოტს, სისხლის სამართლის პოლიციის კომისარს ჰელლერს და სასამართლოს მოხელე ს. პროკურორმა თავისი წინადადება დაამყარა იმით, რომ საქმიანი განსაკუთრებული დასკვნის გამოტანა დაბურულ სხდომაზე.

პროცესზე დამსწრეებისათვის ნათელია, რომ საქმე შეეხება ბრალდებას საბჭოთა საელჩოს ნინააღ დგ. საამართლოს გადა ყვეტილ ა ამ საკითხის შე-ახებ გ მ ტ ანილი იქნება.

ამხ. ლანცუჩკის საქმე

მთელი ქვეყნის მუშებს და გლეხებს

მოსკოვი. 30 მარტი. „რეშეფასის“ აღმასკომმა მთელი მსოფლიოს მუშებს და გლეხებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც გამოიქმულია პროტესტი ლანცუკის გასამართლების წინააღმდეგ.

ტროტიუნიოსტების გენერალურ საბჭოში

მოსკოვი. 30 მარტი. „რეშეფასის“ აღმასკომმა მიიღო ბრალდებისაგან დეპეშა იმის შესახებ, რომ ლანცუკის გასამართლების საკითხს იხილავს ტროტიუნიოზების გენერალური საბჭო. **ტროტიუნიოზები ადგენენ დეპეტაციას, რომელიც გაეგზავნება პოლონეთის საელჩოში ლანცუკის საპატიმროში ყოფნის წინააღმდეგ პროტესტის განცხადებლად.**

პოლონეთის მენშევიკები—ლანცუკის წინააღმდეგ

მოსკოვი. 30 მარტი. „რეშეფასის“ აღმასკომმა მუშათა პარტიის მისამართით გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „ამის გამო, რომ თქვენმა წარმომადგენლმა მ მართა პოლონეთის სოციალისტურ პარტიას რჩევისათვის, რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმ-ათვის, რათა საერთო ძალ ონით დაეცვათ ლანცუკი, გაკნობებთ შემდეგს:

**„პოლონეთია სოციალისტური პარტია ხელს უშლის კომპანიას ლანცუკის დ ხ ა ვ ა ად და შ ი ა ა ბ ერ ტ ს ო ო მ ი ი ა ბ ა, რომ ი ა ც -ყობენ ა ა ა პ ო ლ ონ ეთის კ ო ა ბ ა რ ტ ი ა ს ა ა ბ ა ა ა ბ ა ა ა

ს. ს. ს. რ. ხახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-ბიბლიოთეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნში შემავალ პარტიების ბოლშევიზაცია

ამხ. ზინოვიევის თეზისების პროექტი კომინტერნის გაფართოებულ აღმასკომისათვის; პროექტი მოწოდებულია რ. კ. პ. (ბ), გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიათა დელეგაციების მიერ

ნაწილი IV. ბოლშევიზაცია და საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეობის შესახებ რევოლიუციაში

18. პროლეტარიატის მოკავშირეობის შესახებ რევოლიუციაში

კომენტატორის პრინციპიალური დამოკიდებულება წყრილი ბურჟუაზიისადმი, როგორც პროლეტარიატის შესაძლებელ მოკავშირესადმი რევოლიუციაში, საფუძვლად ედო ამის განსაზღვრული მარქსის, ენგელსის და ლენინის კლასიკურ ნაშრომებში, დაწყებული „კომუნისტური მანიფესტით“ და გათავებული ლენინის უკანასკნელი ნაშრომებით.

ბოლშევიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობს ამაში, რომ ეს პრინციპიალური დამოკიდებულება გამოყენებული იქნეს იმ კონკრეტულ პირობებთან მიმართებით, რომელშიაც უნდა მოქმედებდეს ამა თუ იმ კომუნისტური პარტია.

ლენინიზმის ერთ-ერთი ძირითადი ბრალდებანი, რომელიც უზრუნველყოფს ბოლშევიზმის „გამარჯვებას“ რევოლიუციაში, ყოველთვის მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვძლებოდა **კონკრეტული მოკავშირის გამოძებნა ამა თუ იმ კონკრეტულ ამოცანასთან:** რუსეთში — კავშირი მთელ გლეხობასთან ცარიზმის წინააღმდეგ, შემდეგ კავშირი გლეხობის **განსაზღვრულ წრეებთან** ბურჟუაზიის წინააღმდეგ და სხვ.

ლენინიზმი ყოველთვის ერთ-ერთ თავის ძირითად ამოცანას ხედავდა იმაში, რომ სავსებით სისწორით და კონკრეტულად გაგვეთვალისწინებია, სახელდობრ რომელ შუამდგომ წრეებს შეეძლოთ რევოლიუციონური განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ყოფილიყვნენ პროლეტარიატის მოკავშირეები; როგორც ის ძირითადი **ფაქტორები,** რომლებიც აერთიანებენ მათ პროლეტარიატთან ამა თუ იმ პირობებში.

სწორედ იმიტომ, რომ ლენინიზმმა პროლეტარიატის დიქტატურის ბრძოლა წამოაყენა, როგორც უახლოესი ისტორიული დღის პრაქტიკული ამოცანა, — საკითხი მუშათა კლასის შესაძლებელი მოკავშირის შესახებ რევოლიუციაში დასმულია ლენინიზმის მიერ, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური პრობლემა.

ლენინიზმი წვრილ ბურჟუაზიას ომავრესად ჰყოფს სამ ჯგუფად: წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი შეიძლება (და, ძაშასდამე, კიდ ც უნდა იქნეს დაპყრობილი ბუნდოვანდ, როგორც პროლეტარიატის პირდაპირი პოკავშირე; რაც შეეხება მეორე ფენებს, აუცილებლად უნდა მოხდეს მათი ნეიტრალიზაცია; მესამე ფენებს (ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ზედა ფენების) წინააღმდეგ საჭიროა და აუცილებელი პირდაპირი ბრძოლა.

დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (მაგალითად, გერმანიაში) ქალაქის წვრილ მოსამსახურეების — მოხელეების, ტეხნიკურ ინტელიგენციის და სხვ. ძალიან მნიშვნელოვან ჯგუფს ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის ამყარებ ორსებულ ძალთა შეფარდების დროს შეუძლიათ გახდენ ნაწილობრივ მეგობარ პროლეტარიატის მოკავშირეებად. აქა-იქ ამ ჯგუფს ერთგვარ პირობებში შეუძლიათ ითამაშონ თითქმის ისეთივე როლი, როგორიც ითამაშა გლეხობამ რუსეთში პროლეტარული რევოლიუციის ზოგიერთი ეტაპების დროს.

ბოლშევიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სწორი და ხიზრხეტიანი ტაქტიკა მოსახლეობის ეფადგომ ყრეებისადმი, რომლებიც ტარკეობენ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ძაგრამ რომელთაც განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ ნაწილობრივ აგდდენ მუშათა კლასის ინანდგზავრები.

19. ბოლშევიზაცია და პროლეტარული პოლიტიკა ბლოკების მიმართ.

ბოლშევიკური პარტია არის მუშათა ალიონი. ოიძოკრკა პროლეტარიატის დიქტატურია შესახებ ყველაზე მოაკლია ბოლშევიზმი. ...

[illegible] კომპარტიის ძირითადი ტაქტიკური პრობლემა.

ლენინიზმის შეხედულებანი გლეხობის როლზე არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს მსოფლიოში მოყვანილია ამბ. ლენინის რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო კომინტერნის მეორე მსოფლიო კონგრესმა. ეს დოკუმენტი ინტერნაციონალურს ხდის ლენინიზმის შეხედულებებს გლეხობის როლზე. ეს არის ლენინიზმის ერთ-ერთი შესანიშნავი, ურყევი დოკუმენტი.

ამ რეზოლიუციის თანახმად, ჩვენ ვხედავთ მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში სოფლის მოსახლეობის სამ ჯგუფს, რომლებიც შეადგენენ სოფლის უმავალისობას, რომლებიც შეიძლება და კიდეც დაპყრობილი უნდა იქნენ პროლეტარიატის მიერ.

„სოფლის მშრომელ და გაყვლეფილ მასებს, რომლებიც ქალაქის პროლეტარიატმა უნდა „გაიყოლიოს ბრძოლაში ან, ყოველ შემთხვევაში, გადაიბიროს თავის მხარეზე, შედგენენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში შემდეგი ჯგუფები:

პირველი, სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი, დაქირავებული მუშები (წლიურად, თვიურად და დღიურად), რომლებიც საარსებო საშუალებებს პოულობენ დაქირავებული შრომით კაპიტალისტურ, სასოფლო-სამეურნეო და მათთან დაკავშირებულ სამრეწველო დაწესებულებებში.

მეორე, ნახევრად პროლეტარები ანუ წვრილი მესაკუთრე გლეხები, რომლებიც საარსებო საშუალებებს იძენენ ნაწილობრივ და ი. ავებული შრომით სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო კაპიტალისტურ დაწესებულებებზე, ნაწილობრივ კი შრომისაენ საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაზე, რომელიც მას აძლევს იმ საკვები პროდუქტების მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლებიც აუცილებელია ოჯახისათვის. სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს ჯგუფი ძალიან მრავალრიცხოვანია ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში; მის არსებობას და მის განსაკუთრებულ მდგომარეობის ჩქმალავენ ბურჟუზიის წარმომადგენლები და „სოციალისტები“ მეორე ინტერნაციონალიდან, რომლებიც ზოჯჯერ შეგნებულად ატყუებენ მუშებს, ზოჯჯერ კი ბრმათ ეშეკბიან ობივატელურ შეხედულებათა წყმპეში და ურევენ მას საზოგადოთ „გლეხობის“ საერთო მასაში.

მესამე, წვრილი გლეხობა, ე. ი. წვრილი მიწის მესაკუთრეები, რომელთაც აქვთ საკუთრებათ ან იჯარით მიწის ისეთი მცირე ნაკვეთი, რომ თავისი ოჯახის და თავისი მეურნეობის მოთხოვნილებების დასაფარავად ისინი არ მიმართავენ კერძო მუშა-ხელის დაქირავებას. ეს წრე უსათუოდ მოიგებს პროლეტარიატის გამარჯვებით.

სამივე ზემოდ აღნიშნული ჯგუფი ერთად აღებული წარმოადგენს ყველა ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. ამიტომ პროლეტარული გადატრიალების სამოელო გამარჯვება უზრუნველყოფილია არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც“.

ჩვენი პარტიების ნამდვილი ბოლშევიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვან წინასწარ პირობას ამომადგენს სერიოზული და სისტემატიური მუშაობა ამ რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებისათვის. პირველ ყოველისა აუცილებელია, რომ თვითეულმა მუშამ, ყბრალო კომუნისტმა იცოდეს და გაიგოს ეს რეზოლიუცია; აუცილებელია, რომ კომინტერნის თვითეულმა პარტიამ თავის მნიშვნელოვან მუშაობათა ცენტრში დასვას ამ რეზოლიუციაში გამოთქმულ შეხედულებათა გატარება მასებში და ამ პრაქტიკული მუშაობა მისი განხორციელებისათვის. აუცილებლად აშკარად უნდა ითქვას, რომ კომპარტიების უმრავლესობა ამ მუშაობას სერიოზულად კიდევ არ შესდგომია.

20. ბოლშევიზაცია და პროლეტარული პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში

ნაციონალური საკითხი კოლონიალურ და სახევრად კოლონიალურ ქვეყნებში—და არა მარტო ამ ქვეყნებში—უმეტესად წარმოადგენს გლეხობის საკითხს, რამდენადაც ამ ქვეყნების გლეხობა-შედგენს მოსახლეობის უმრავლესობას. ბოლშევიკური პოლიტიკის გატარება კოლონიალურ საკითხში შეუძლებელია, თუ სწორად არ იქნა დაყენებული ნაციონალური საკითხი საზოგადოთ. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაგვაჯაჭვა, რომ მთელ რიგ სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა [illegible] კომუნისტები უშვებენ ერთსადაიმავე შეცდომას, საკმაოდ ვყო აცალებენ ნაციონალურ საკითხს,—ეს შეცდომა კი საშიელებას უსპობს კოიუნისტებს გადმოყვანონ თავის ძიარკზე მოსახლეობის საგრძნობი და ზოგჯერ გადამწყვეტი ფეიები. ნიღიღიზმა და გაკეთებულებ ლობამ ნაციონალურ საკითხში (და მით უფრო დათაობამ „დიდ-ოპერიულიო“ თავალსაზ[illegible]ისიანაკის) დიდი ხიხი მიაყენეს გერმანიის კომუნისტ[illegible] პარტიას და კომინტერნის ზოგიერ[illegible] სექციებს ბალკანეთზე, აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიას, [illegible] კომუნისტებსაც, ჰოლონდ კომუნისტებს, ინგლისის კომპარტიასაც და სხვ.

მეორე მსოფლიო კონგრესის რეზოლიუციაა ნაციონალურ საკითხის შესახებ, ისევე, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის უანასკნელი დადგენილებები, საკმაოდ ნათელ თეორიტიულ და ტაქტიკურ დირექტივებს აძლევენ მთელი მსოფლიოს კომუნისტებს ამ მხრივ. თუ [illegible] სწორი ჰოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, შეუძლებელია ბოლშევიზაცია

[illegible]

ნაწილი V. სხვადასხვა პარტიების კონკრეტული ამოცანები

21. ცალკე პარტიების კონკრეტული და უახლოესი ამოცანები

სხვადასხვა პარტიების კონკრეტული უახლოესი ამოცანები კიდევ უფრო ვრცლად უნდა იქნას დამუშავებული ამ პარტიების წარმომადგენლებთან ერთად.

დაახლოვებით ეს ამოცანები მდგომარეობს შემდეგში (აღებულია ყველაზე მნიშვნელოვანი).

ა) **საბჭოთა კავშირში.** აქ ბოლშევიზაციის ამოცანა დღეევანდელ მომენტში მდგომარეობს პირველ ყოველისა შემდეგში:

1. ტროცკიზმის სრული ლიკვიდაცია, როგორც მიმდინარეობის პარტიის შიგნივ. ეს ლიკვიდაცია წარმოადგენს პირველ პირობას იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას რ. კ. პ. სწორი პოლიტიკა შემდეგ საკითხებში: ა) გლეხობისადმი დამოკიდებულება; ბ) პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს უზრუნველყოფა სახელმწიფო აპარატში, და სამეურნეო ორგანოებში ახალი ეკონომიურ პოლიტიკის დღევანდელ პერიოდშიც და სხვა.

2. პარტიის სრულიად სწორ და სავსებით საკადებულო პოლიტიკის გატარების დროს გლეხთა საკითხში მიღებული უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რათა (სხვათა შორის მისი საშუალებითაც) სისტემატიურად განვავითაროთ სოციალისტურ მეურნეობის ელემენტები და ამით განმტკიცებული იქნას პროლეტარიატის დიქტატურის და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში რუსეთის სოციალისტურად გარდაქმნის ეკონომიური ბაზა.

ბ) **ინგლისში** კომუნისტური პარტია, რომელიც პირველ სერიოზულ წარმატებას აღწევს მასიურ კომუნისტურ პარტიად გარდაქმნის საქმეში, ბოლშევიზაციის ცენტრალურ ამოცანას უნდა ხედავდეს შემდეგში:

1. მუშობა პროფკავშირებში, კერძოთ ყურადღება უმცირესობის მოძრაობისადმი. გავრცელება მასებში მარქსისტულ შეხედულების ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის კავშირის არსებობის შესახებ. ინგლისის პროფკავშირებსა და მუშათა პარტიის შორის თავისებურ ურთიერთდამოკიდებულების გამო, პროფესიონალისტთა წრეებში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, ვითომდა ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის პროფკავშირებს, ხოლო მუშათა პარტიის მეთაურები წარმოდგენენ მხოლოდ პროფკავშირთა სურვილის შემსრულებლებს,—ამავე დროს სინამდვილეში სულ საწინააღმდეგო ხდება.

2. აგიტაცია იმპერიალისტურ სულისკვეთების წინააღმდეგ, რომელმაც ფეხი მოიკიდა ინგლისის მუშათა არისტოკრატიაში (ირლანდიის საკითხი). კერძოთ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ირლანდიის საკითხს.

3. ჩამოყალიბებულ ცენტრალისტურ პარტორგანიზაციის შექმნა და უგეგმო ორგანიზაციულ მუშაობის („Кустарничество“) ლიკვიდაცია.

4. ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გეგმიანი გატარება.

გ) **საფრანგეთში** ბოლშევიზაციის ამოცანა დღეევანდელ მომენტში მდგომარეობს შემდეგში:

1. კამპანია პროფკავშირთა მთლიანობისათვის.

2. მუშობა უფრო მასიურ პროფკავშირების შესაქმნელად საერთოთ; იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ საფრანგეთში უკანასკნელ წლებში ძალიან განვითარდა მრეწველობა და იქ მუშათა კლასი ძალიან გაიზარდა რიცხვობრივად. არსებული პროფკავშირები ჯერ-ჯერობით რიცხვობრივად მეტად სუსტია.

3. მჭიდრო კავშირი პარტიასა და ფრონის [illegible] შორის, რათა [illegible] ...

4. საფრანგეთის ძველ ტრადიციების წინააღმდეგ დარაზმულ მასიურ კომუნისტურ პარტიის შექმნა. პარტიაში კიდევ 40—50 ათასი წევრის მიღება.

5. ორგანიზაციულად იმ გავლენის განმტკიცება, რომელთაც პარტია სარგებლობს პარიზის მუშებს შორის.

6. პარტიის მიერ ისეთივე გავლენის მოპოვება ყველაზე მნიშვნელოვან [illegible] ...

7. [illegible] ...

8. წარმოებული იქნას ანტიმილიტარისტული პროპაგანდა [illegible] ...

9. [illegible] ...

10. [illegible] ...

დ) **გერმანიაში**—აქ ბოლშევიზაციის ამოცანა მდგომარეობს პირველ ყოველსა შემდეგში:

1. „მემარცხენეთა“ შეცდომების ლიკვიდაცია პროფკავშირების საკითხში, ანა შარტო თეორიულათ არამედ პრაქტიკულათ.

2. მთელი აგიტაციის და პროპაგანდის დამყარება უფრო კონკრეტულ ნიადაგზე იმისათვის, რათა ბოლო მოეღოს რაიმე მერყეობას ნაწილობრივ მოთხოვნილებათა წამოყენების საკითხში.

3. ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გამოყენება, რომელსაც დღეევანდელ პირობებში (სოციალ-დემოკრატების გამოჩენილ წინამძღოლთა გამყიდველობის გამომჟღავნება) შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებით სერიოზული შედეგები.

4. მეტი ყურადღება **მახვნის ორგანიზაციულად დაპყრობის საქმეს** (საგიტაციო კამპანიები არა მარტო გაზეთებში).

5. მეტი ყურადღება მუშაობას წვრილ მოხელეთა, მოსამსახურეთა და სხვ. შორის.

6. პრაქტიკულათ დაყენება საკითხის გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.

7. „მუშურ-გლეხური მთავრობის“ ლოზუნგის პროპაგანდა V კონგრესის განმარტების მიხედვით.

8. მიღებული იქნას ყოველგვარი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანსაღი დანორმალური შინაპარტიული განვითარება და თავიდან იქნას აშორებული წინანდელ ფრაქციონულ ბრძოლის ყველა შედეგები, პარტიულ მთლიანობის მტკიცეთ უზრუნველყოფა ყოველგვარ ახალ ფრაქციულობის ცდის წინააღმდეგ.

9. შემდეგი ბრძოლა ახალ გადახრათა წინააღმდეგ ეხლა, როცა პარტიის პოლიტიკური ხაზი საკმაოდ განმტკიცებულია, ხოლო ორგანიზაციულათ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არაგვითარ შემთხვევაში არა მექანიკური წმენდის, არამედ ფართო იდეურ-პოლიტიკურ, განმარტებითი კამპანიის, ახალი მუშაკების აღზრდის, აქტიურ პარტიულ კადრების სისტემატიური გაფართოების, მუშაობაში საუკეთესო ძალების ენერგიულად ჩაბმის და ასიმილიაციის გზით; მიზიდული უნდა იქნან აგრეთვე ძალები ძველ ოპოზიციონურ ელემენტებიდან, რამდენადაც ეს ამხანაგები შეიძლება იქნან დაპყრობილი ლოიალურ თანამშრომლობისათვის პარტიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

10. გატარებული იქნას პარტიის პოლიტიკური ხაზი შინაპარტიული დემოკრატიის მეთოდების გამოყენებით და სისტემატიურად სწარმოებდეს განმარტებითი მუშაობა, რათა დისკუსიის საშუ ლებით დარწმუნდნენ პარტიის ფართო მასები პარტიის მიერ აღებულ ხაზის სისწორეში.

ე) **ჩეხო-სლოვაკია.** ბოლშევიზაციის საქმე აქ მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა შემდეგში:

1. აწეული იქნას პარტიის ბრძოლის უნარი, აღმოფხვრილ იქნას საპარლამენტო - სამუნიციპალიტეტო ოპორტუნიზმი. საერთოდ მოხდეს პარტიაში მარჯვნისაკენ გადახრის ლიკვიდაცია (ბენეში).

2. არა სიტყვით, არამედ საქმით ჩატარებული იქნას კამპანია ყველა პროფკავშირთა გაერთიანების სასარგებლოდ.

3. შეთვისებული იქნას დამკვრელ პოლიტიკურ კამპანიების ჩატარება და თანდათან გაიზარდოს და განვითარდეს ლოზუნგები მოძრაობის ზრდის მიხედვით.

4. რათაც არ უნდა დაჯდეს მიღწეული იქნას ერთსულოვნება ბოლშევიკურ ხაზის საფუძველზე ისეთ ორგანიზაციებში, როგორც პრაგა, კლანდო, ბრიუნნი და სხვ.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის მოძრაობას.

6. ეროვნულ და გლეხთა საკითხების უფრო გაბედულად და რევოლიუციონურად დაყენება და მეტი ყურადღება საორგანიზაციო მუშაობისადმი ამ დარგში.

7. განსაკუთრებული ყურადღება პარტიულ კადრების შექმნას სათანადო ლენინური მომზადებით.

ვ) იტალია. 1. გაფართოვდეს პარტიის საგიტაციო ზეგავლენა მშრომელთა ფართო ფენებზე და გადაილახოს ფაშიზმის მიერ შექმნილი არა ლეგალობის საზღვრები.

2. შესწავლილი იქნას პოლიტიკური კამპანიების უფრო გეგმა შეწონილად ჩატარება.

3. რაც შეიძლება უფრო ღრმად შეეჭრათ პროფკავშირებში და წარმოებული იქნას ბრძოლა მთლიანობისათვის მიუხედავად რეფორმისტების პროვოკაციისა, რომელთაც დაიწყეს კომუნისტურ პარტიის წევრთა გამორიცხვა.

4. დაიწყოს სისტემატიური მუშაობა ფაშიკა-ქარხნების კომიტეტების შესაქმნელად, განსამტკიცებლად და დასაპყრობად.

5. არ დაკმაყოფილდეთ გლეხთა კომიტეტების ლოზუნგებით, არამედ მუშების და მოწინავე გლეხების საშუალებით საქმით შეეჭრათ სოფელში, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

6. მეტი ყურადღება მარქსისტულ იდეოლოგიის საკითხებს.

ზ) პოლონეთი. 1. მიუხედავად ტერორის და პროვოკაციის არაჩვეულებრივ მძიმე პირობებისა, უფრო ღრმად უნდა შეეჭრათ პროფკავშირებში. და განვავითაროთ კამპანია პროფფმოძრაობის მოლიანობის სასარგებლოთ.

2. გაბედულად გამოსწორდეს ერთხელ და სამუდამოდ ხაზი ეროვნულ და გლეხთა საკითხში ლენინიზმის მოძღვრების მიხედვით.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა რევოლიუციონურ დარაზმულობის ელემენტები შეტანილი იქნას განვითარებულ გლეხთა მოძრაობაში.

4. მეტი ყურადღება ერთიან ცენტრალისტურ პარტიის შექმნის საქმეს მის სხვადასხვა ეროვნულ ნაწილებისაგან სხვ. ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე.

იგივე ამოცანა უნდა იქნას წამოყენებული მთელ რიგ სხვა ქვეყნებისათვის, როგორც, მაგალითად, ჩეხოსლოვაკია, სამხრეთ-სლავია და სხვ.

თ) ამერიკა. 1. უფრო ინტენსიური მუშაობა პროფკავშირებში და მათზე ჩვენი გავლენის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება (კომუნისტური ფრაქციები).

2. პარტიის ყველა ეროვნულ ჯგუფების გაერთიანება მართლაც ერთ მთლიან პარტიაში.

3. მეტი ყურადღება ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციის საქმეს.

4. მეტი ყურადღება აგიტაციას მუშათა ცხოვრებისათვის ყოველდღიურ საპირბოროტო საკითხებზე (ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გამოყენება).

ნაწილი VI. ბოლშევიზაცია და საორგანიზაციო საკითხები

24. ბოლშევიზაცია და საორგანიზაციო საკითხები.

ბოლშევიზაციის მნიშვნელოვან წინასწარ პირობას წარმოადგენს სწორი ბოლშევიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მასების დაპყრობისაკენ. სწორ ბოლშევიკურ პოლიტიკის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს უწინარეს ყოვლისა სწორ და ურთიერთ დამოკიდებულებას პარტიასა და მთელ კლასს შორის, პარტიასა და უპარტიო მუშებს შორის, ვერც ერთი ორგანიზაციული ფორმა მიზანს ვერ შიღწევს. მაგრამ ლენინიზმმა რევოლიუციონურ გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა შეხედულებათა მთელი სისტემა საორგანიზაციო საკითხებშიაც, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა პარტიების ბოლშევიზაციისათვის.

ყოველ ბოლშევიკურ პარტიის ორგანიზაციის მთავარ ფორმას წარმოადგენს **საწარმოო პარტუჯრედი.** ორგანიზაციის ძველი პრინციპი, რომელიც ნასესხებია სოციალ-დემოკრატიისაგან, როდესაც პარტია ეწყობა საარჩევნო ოლქების მიხედვით საპარლამენტო არჩევნების—დაგვარად, მიუღებელია კომუნისტებისათვის. ნამდვილი ბოლშევიკური პარტია შეუძლებელია, თუ ორგანიზაციას თავისი საფუძველები არ აქვს ფაბრიკა-ქარხნების უჯრედებში.

ფაბრიკა-ქარხნების პარტუჯრედების გვერდით და ასეთ ორგანიზაციებში მუშაობასთან ერთად, როგორიც არის პროფკავშირები, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტები, კოოპერატივები და სხვ. შეიძლება და საჭიროც არის შეიქმნა მთელი რიგი დამხმარე უპარტიო ორგანიზაციებისა: ბინის დამჭირავებელთა, უმუშევართა, ოჩის ყოფილ მონაწილეთა და სხვ. ორგანიზაციები (კომუნისტური ჯჯრუედებით მაშინ) ბოლშევიზაცია მოითხოვს, რათა ჩვენი პარტიები სარგებლობდენ ყოველ შემთხვევით მუშათა ორგანიზაციულ ქაელის გასაფართოებლად. საჭიროა ვისარგებლოთ ყოველი დიდი საჭიბოროტო საკითხით, რათა ავამაღლოთ ესა თუ ის დამჭირარე, ნაკლებად ჩამოყალიბებული, „თავისუფალი“ ორგანიზაცია, თუ რომ იგი იქნება სიცოცხლის უნარის მქონე.

დაწყებული კამპანია ჩვენი პარტიებისა რეორგანიზაციის მოსახდენათ ფაბრიკა-ქარხნების პარტიულ უჯრედების საფუძვლებზე საჭიროა გაგვაგრძოთ და დავამთავროთ.*) რაც შეიძლება მოკლე ვადაში. ამასთანავე სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ თავის-თავად ეს რეორგანიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთელ ბოლშევიზაციას. ეს მხოლოდ ნაწილია მისი. და კიდევ უფრო მეტად უნდა გვახსოვდეს, რომ ფაბრიკა-ქარხნების უჯრედ ბის მოწყობით, ჩვენ მხოლოდ შეუდექით საქმეს, ვინაიდან პარტიამ უნდა იზრუნოს კიდევ იმაზე, რათა პოლიტიკური სული შთაბეჭროს ამ უჯრედს, უზრუნველყოს უჯრედ მომზადებული ხელმძღვანელებით, რომლებიც უნდა მომზადდენ უწინარეს

*) არის შემთხვევები, როცა ეს რეორგანიზაცია ძალიან არ უნდა გავიჭიროთ, მაგ., [illegible] პარტიები დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში.

22. ბოლშევიზაცია და ანტიმონარქიული აგიტაცია.

შეცდომაა უარის თქმა ანტიმონარქიულ აგიტაციაზე იმ მოსაზრებით, რომ მონარქიის ფრთებ-ქვეშ ნამდვილად მართავს ქვეყნის ბურჟუაზიაო. კომუნისტებმა უნდა წამოაყენონ ლოზუნგი: „ძირს მონარქია“, ინგლისშიაც, იტალიაშიაც და ბალკანეთის ქვეყნებშიაც და სხვა. აგრეთვე გერმანიაში კომუნისტებმა უნდა დაუკავშირონ თავიანთი ანტიმონარქიული აგიტაცია ყოველდღიურ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას. ბოლშევიზმი მდგომარეობს არა იმაში, რათა უარი ესთქვათ მონარქიის წინააღმდეგ რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ აგიტაციაზე, არამედ იმაში, რათა შეესძლოთ ამ აგიტაციის დაკავშირება სდციალისტურ მოთხოვნილებებთან, ხელი შეუწყოთ რევოლიუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობის გადასვლას ხოციალისტურში.

23. მთელ რიგ კომუნისტურ პარტიების რიცხვობრივი ზრდა.

მთელ რიგ ქვეყნებში,—**საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ჩეხო-სლოვაკია, იტალია, შვეცია, ნორვეგია, ჰოლანდია, ამერიკა,**—კომუნისტური პარტიები მუშაობენ ეხლა ისეთ პირობებში, რომ სავსებით შეეძლოთ და **კიდეც უნდა** გაედიდებიათ თავიანთი რიგები. ასეთი რიცხვობრივი ზრდა (მნიშვნელობას ზოგჯერ საკმაოდ ვერ აფასებენ პარტიული ხელმძღვანელები) არა თუ ხელს არ შეუშლიდა ამ პარტიების ბოლშევიზაციას, არამედ ხელსაც შეუწყობდა მას.

ნაწილი VI. ბოლშევიზაცია და საორგანიზაციო საკითხები

24. ბოლშევიზაცია და საორგანიზაციო საკითხები.

